წერილის ნომერი: **18-01241373527**
თარიღი: **16/05/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01241231831
წერილის თარიღი:	02/05/2024
განმცხადებელი:	მზია როსტომაული
განაცხადის N	AR11012174
მისამართი	ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა №10
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.11.05.030.002
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №472 თარიღი: 22/09/2023
არსებული შეზღუდვები	-------
ფართობ(ებ)ი:	6149 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს მარიამულა
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი საექსპერტო დასკვნა ფოტომასალა
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-5 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები; კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი; კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის

გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5 მუხლები; 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი; 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 80 ძირი ნერგი (20 ძირი კავკასიური ცაცხვი, 20 ძირი ჰიმალაის კედარი, 20 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 20 ძირი ამბრის ხე) და ტერიტორიაზე არსებული 6 ძირი მცენარე (5 ძირი თუთა, 1 ძირი კაკალი) სრულად ითვისებს კ3 (0,3) გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (1964 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, მშენებლობის მიზნით, გასცეს საპროექტო კონტურში განთავსებული **ერთი ძირი მწვანე ნარგავის (თუთა #7-2 სმ)** ***იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვას, გადარგვის საბოლოო ნებართვის მისაღებად.***

ჯანსაღი მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა, თუ ისინი პირდაპირ აფერხებს მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს გახდის მშენებლობის განხორციელებას. ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული **2 ძირი მწვანე ნარგავი** ხელს უშლის მშენებლობის განხორციელებას და მათი მოჭრით არ დაირღვევა ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მოსაჭრელი ხეების რაოდენობა არ აღემატება ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების 25%-ს, **სამსახური გასცემს, თუთის** (#4-9 სმ) და **სუროს** (#5-1-2 სმ) ***მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც განმცხადებელი სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვასა და ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანისთვის აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს 237 (ორას ოცდაჩვიდმეტი) ლარს. (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი- #300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).***

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე მოსაჭრელი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება 3-ს; მათი (#1-#3) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების

წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5^1).

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გამწვანების პროექტი



2023

განმარტებითი ბარათი

თარიღი: 10.05.2023

დამკვეთი: შპს მარამულა 400016610

საკადასტრო კოდი: 01.11.05.030.002

მისამართი: ქ.თბილისი გმირი კურსანტების ქუჩა N10

დაზუსტებული ფართობი: 6149.00 კვმ

საკადასტრო კოდის კ3: 1844 კვმ **საკადასტრო კოდის მიმდებარე კ3:119.7კვმ**

სულ: 1964 კვმ

ტერიტორიაზე დაირგვება 80 ძირი მწვანე ნარგავი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ შემოთავაზებული 50 პრიორიტეტული და რეკომენდირებული ხეების სიიდან

დასარგავი მწვანე ნარგავების ვიზუალიზაცია



Tilia begoniifolia ცაცხვი



Cedrus deodara ჰიმალაის კედარი



Acer campestre მინდვრის ნეკერჩხალი



Liquidambar styraciflua ამბრის ხე

ობიექტის და გასაშენებელი მწვანე ნარგავების შესახებ

ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო სამეურნეო ტიპის მიწის ნაკვეთს, დატვირთულია ანთროპოგენური ფაქტორებით. ტერიტორიაზე არსებობს სამეურნეო დანიშნულების გამწვანების და ნატურალიზირებული მწვანე ნარგავები მშენებლობისთვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავები მოიჭრება და გადაირგვება კანონის შესაბამაისი დადგენილებით. ასევე ტერიტორიაზე დაირგო კ3 ფართობის და გარემოსთვის შესათვისებელი მწვანე ნარგავები.

მწვანე ნარგავები გაშენდა ტერიტორიაზე გენგეგმის მიხედვით, გამწვანებულ ადგილას. მცენარეებს შორის დაშორება არანაკლებ 3 მ. ყველა ახალ დარგული მწვნე ნარგავი შენობიდან დაშორებულია 3 მ ხოლო გზიდან 70 სმ. ით

გამწვანების პროექტში გათვალისწინებულია როგორც მისი დეკორატული ღირებულება ისე მათი ეკოლოგიური ფაქტერები.

Tilia begoniifolia ბეგონიისფოთოლა ცაცხვი: მალვისებრთა ოჯახსი წარმომადგენელი, სამშობლო: კაკვკასია ყირიმი. ხელოვნურად გავრცელებულია ევროპასა და ამერიკაში

Cedrus deodara ჰიმალაის კედარი : ფიჭვისებრთა ოჯახის წარმომადგენელი

სამშობლო: ჰიმალაი, ნეპალი, ხელოვნურად გავცელებულია ევროპა შუა აზიასა და ამერიკაში

Acer campestre მინდვრის ნეკერჩხალი: ნეკერჩხლისებრთა ოჯახის წარმომადგენელი.

სამშობლო: კავკასია შუა აზია ანატოლია. ხელოვნურად გავცელებულია, ევროპასა და ამერიკაში.

Liquidambar styraciflua ამბრის ხე: ჰამამელისებრტა ოჯახის წარმომადგენელი.

სამშობლო: აშშ. ხელოვნურად გავცელებულია, ზომუერი სარტყელის ქვეყნებში.

დასარგვი მწვანე ნარგავბის რაოდენობა:

კავკასიური ცაცხვი

სიმაღლე 3.5, გარშემოწერილობა 20 ხნოვანება 5-10წელი 20ძირი

ჰიმალაური კედარი

სიმაღლე 3.0, გარშემოწერილობა 20 ხნოვანება 5-10წელი 20ძირი

მინდვრის ნეკერჩხალი

სიმაღლე 3.5, გარშემოწერილობა 20 ხნოვანება 5-10წელი 20ძირი

ამბრის ხე

სიმაღლე 3.5 გარშემოწერილობა 20 ხნოვანება 5-10 წელი 20 ძირ

შენიშვნა მწვანე ნაგავები შესაბამისია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილ მწვანე ნარგავების სიის მიხედვით.

წიწვოვანი მცენარეები დაფესვიანებული უნდა იყოს ქოთანში

ქოთნის CLT არანაკლებ 65

სამშენებლო არეალში მყოფი მწვანე ნაგავები

მოსაჭრელი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავები N1 N2 N3 ვაზი

მოსაჭრელი ხვიარა მწანე ნარგავი N5 სურო

გადასარგავი თუთა N6

ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის ბალანზე არსებული ხაზობრივი ნაგებობიდან დაცული გვაქვს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები და ასევე გათვალისწინებული გვაქვს სს"თელასის" კუთვლილი საჰაერო ხაზიდან ადგენილი შეზღუდვები



სამშენებლო არეალში მყოფი მწვანე ნარგავები



საპროექტო ტერიტორიაზე:

მოსაჭრელი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავი : N1 N2 N3 N4 N5

გადასარგავი მწვანე ნარგავი N7

ხელუხლებელი N6

საპროექტო არეალს მიღმა არსებული ხე ნარგავები
საპროექტო არეალში არსებული ხე ნარგავები

ხე ნარგავების რადიუსი 3 მეტრიანია .

საპროექტო არეალზე #8-9 ხე ნარგავის გარდა ექვემდებარება მოჭრა გადარგვას, რომელის შეთანხმდება მშენებლობის ნებართვის დროს.

საკადასტრო კოდის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები რომელიც თან დართულია პროექტში არ უშლის ხელს სამშენებლო არეალს.

მიწის ნაკვეთი	მიწის ნაკვეთის მესაკუთრე	მეზობლების შემზღუდავი ზონა/ქვეზონა	კონკრეტული ფუნქციური ზონირება	ტერიტორიულ სტრუქტურული ზონირება	სამშენებლო/ არასამშენებლო	ნებადართული სახეობა და ფუნქციები	კ1	კ2	კ3	მინიმალური ფართობის და ზომები
ს/კ: 01.11.05.030.002	კერძო მესაკუთრე 6149 კვ.მ	არ არსებობს	სზ-6	პერიფერიული ზონა	სამშენებლო	მრავალფუნქციანი საცხოვრებელი კომპლექსი	0.5 (3347.5 კვ.მ)	2.5 (16645.5 კვ.მ)	0.3 (1844.7 კვ.მ)	ფართობი 700 კვ/მ სიგანე 20 მ. სიღრმე 30 მ.


არსებული გზის ღერძულა ხაზი
"ჯორჯიან უოთერ ენდ უაუერი"
72.00.232
ძმობა 2
8 სართული
ძმობა 1
8 სართული
ძმობა 3
8 სართული
სპორტის მოედანი
სპორტულ-რეკრეაციური კვლაფერი
სველი წერტილები
ბარბარესის საავტომობილო გზა
სველი წერტილები
სველი წერტილები
სველი წერტილები

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს მარამულა 400016610

საპროექტო ტერიტორია: ს/კ **01.11.05.030.002**

მისამართი: ქ.თბილისი გმირი კურსანტების ქუჩა **N10**

ნებართვის გამცემი ორგანო: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახური



კ3 გამწვანების კოეფიციენტი: 1964.4

კ3 საკადასტრო კოდის 1844.7

კ3 საკადასტრო კოდის მიმდებარედ 119.7

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი: 2024

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 2027

დასარგავი მწვანე ნარგავები:

კავკასიური ცაცხვი

სიმაღლე 3.5, გარშემოწერილობა 20 ხნოვანება 5-10წელი **20**ძირი

ჰიმალაური კედარი

სიმაღლე 3.0, გარშემოწერილობა 20 ხნოვანება 5-10წელი **20**ძირი

მინდვრის ნეკერჩხალი

სიმაღლე 3.5, გარშემოწერილობა 20 ხნოვანება 5-10წელი 20ძირი

ამბრის ხე

სიმაღლე 3.5 გარშემოწერილობა 20 ხნოვანება 5-10 წელი 20 ძირი

გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლა პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი შპს მარამულა 400016610

მწვანე ნარგავების მოვლის ხანგძლივობა: 3 წელი

მანანა ელბაქიძე

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი
უფლებამოსილი ფიზიკური პირი/ექსპერტი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა №393

ქ. თბილისი 10.07.2023

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა №10

ობიექტის საკადასტრო კოდი: 01.11.05.030.002

ობიექტის მესაკუთრე: შპს „მარიამულა“

საფუძველი: დამკვეთის მომართვა მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების თაობაზე.

შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა: 9

საკვლევი ობიექტის ფართობი: 6149 მ^2

რელიეფი: ვაკე

კვლევის ჩატარების მეთოდი: ვიზუალური და ტაქსონომეტრიული გაზომვები.

საექსპერტო დასკვნას თან ახლავს **არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.**

#	მცენარის ქართული და ლათინური სახელწოდებები	სასიცო-ცხლო ფორმა	დიამეტრი ფესვის ყელიდან 10 სმ სიმაღლეზე (სმ)	სიმაღლე მ H	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1.	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	7	ტალავერი	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა. *მცენარე საღია, ამიტომ გადარგვის შემთხვევაში მისი გახარების ალბათობა მაქსიმალურია.* *მცენარის შემდგომი გახარებისათვის აუცილებელია გადარგვა განხორციელდეს არასავეგეტაციო პერიოდში, ქვემოთ მითითებული - „მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგიისა და შემდგომი მოვლის“ მიხედვით.*
2.	ვაზი	ხვიარა	4	ტალავერი	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა.

ბ/ნ 01019021760. მისამართი: თბილისი, მუხიანი, I-V-V-93; mob.: 599 739 834; e-mail: manana.elbakidze@gmail.com

	Vitis vinifera					*მცენარე საღია, ამიტომ გადარგვის შემთხვევაში მისი გახარების ალბათობა მაქსიმალურია.* *მცენარის შემდგომი გახარებისათვის აუცილებელია გადარგვა განხორციელდეს არასავეგეტაციო პერიოდში, ქვემოთ მითითებული - „მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგიისა და შემდგომი მოვლის“ მიხედვით.*
3.	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	5	ტალავერი	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა. *მცენარე საღია, ამიტომ გადარგვის შემთხვევაში მისი გახარების ალბათობა მაქსიმალურია.* *მცენარის შემდგომი გახარებისათვის აუცილებელია გადარგვა განხორციელდეს არასავეგეტაციო პერიოდში, ქვემოთ მითითებული - „მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგიისა და შემდგომი მოვლის“ მიხედვით.*
4.	თუთა Morus alba	ხე	9	3,5	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა. *მცენარე საღია, ამიტომ გადარგვის შემთხვევაში მისი გახარების ალბათობა მაქსიმალურია.* *მცენარის შემდგომი გახარებისათვის აუცილებელია გადარგვა განხორციელდეს არასავეგეტაციო პერიოდში, ქვემოთ მითითებული - „მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგიისა და შემდგომი მოვლის“ მიხედვით.*
5.	სურო Hedera helix	ხვიარა	1-2	კედელზე ასული	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა.

						მცენარე საღია, ამიტომ გადარგვის შემთხვევაში მისი გახარების ალბათობა მაქსიმალურია. *მცენარის შემდგომი გახარებისათვის აუცილებელია გადარგვა განხორციელდეს არასავეგეტაციო პერიოდში, ქვემოთ მითითებული - „მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგიისა და შემდგომი მოვლის“ მიხედვით.*
6.	თუთა Morus alba	ხე	7	3	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა. *მცენარე საღი და ნორჩია, ამიტომ გადარგვის შემთხვევაში მისი გახარების ალბათობა მაქსიმალურია.* *მცენარის შემდგომი გახარებისათვის აუცილებელია გადარგვა განხორციელდეს არასავეგეტაციო პერიოდში, ქვემოთ მითითებული - „მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგიისა და შემდგომი მოვლის“ მიხედვით.*
7.	თუთა Morus alba	ხე	2	1,6	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა. *მცენარე საღი და ნორჩია, ამიტომ გადარგვის შემთხვევაში მისი გახარების ალბათობა მაქსიმალურია.* *მცენარის შემდგომი გახარებისათვის აუცილებელია გადარგვა განხორციელდეს არასავეგეტაციო პერიოდში, ქვემოთ მითითებული - „მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგიისა და შემდგომი მოვლის“ მიხედვით.*
8.	თუთა	ხე	50	0,50 მ	ჯანსაღი	გადარგვას არ

	Morus alba			სიმაღლეზე გადაჭრილი. ამონაყარის სიმაღლე 2 მ		ექვემდებარება .
9.	თუთა Morus alba	ხე	1,5	1,2	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა. *მცენარე საღი და ნორჩია, ამიტომ გადარგვის შემთხვევაში მისი გახარების ალბათობა მაქსიმალურია.* *მცენარის შემდგომი გახარებისათვის აუცილებელია გადარგვა განხორციელდეს არასავეგეტაციო პერიოდში, ქვემოთ მითითებული - „მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგიისა და შემდგომი მოვლის“ მიხედვით.*

ხარისხობრივად შეფასებული 9 მწვანე ნარგავიდან

5 ძირი მიეკუთვნება **მაღალი ღირებულების ჯგუფის მცენარეებს:**

№4 თუთა - Morus alba
№6 თუთა - Morus alba
№7 თუთა - Morus alba
№8 თუთა - Morus alba
№9 თუთა - Morus alba

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე **მაღალი ღირებულების ჯგუფის მცენარეების** მოჭრა-გადარგვა საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის #11-58 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“).**

4 ძირი მიეკუთვნება **ხვიარა ჯგუფის მცენარეებს:**

№1 ვაზი - Vitis vinifera
№2 ვაზი - Vitis vinifera
№3 ვაზი - Vitis vinifera
№5 სურო - Hedera helix

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე **ხვიარა ჯგუფის მცენარეების** მოჭრა-გადარგვა საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის #11-58 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“).**

მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია და შემდგომი მოვლა

გადარგვა ხორციელდება არასავეგეტაციო პერიოდში, გვიან შემოდგომას, ან ზამთრის მიწურულს და ადრე გაზაფხულზე, წვენის ჩადგომამდე და კვირტების დაბერვამდე. ამ პერიოდში მცენარე ყველაზე ნაკლებმგრძნობიარეა გარეგანი ფაქტორების მიმართ

მცენარე აუცილებლად მიწის კოშტით (კომით) უნდა გადაირგოს. ის ამოღებულ უნდა იქნას იმ მიწის მასასთან ერთად, რომელშიც იზრდება. ამასთან აუცილებელია კომის მინიმალური დასაშვები ზომების დაცვა, რათა არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება.

კომის ზომებთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი კანონზომიერებებით სარგებლობა: კომის დიამეტრი 10-ჯერ უნდა აღემატებოდეს 0,2 მ სიმაღლეზე ხის დიამეტრს. კომის სიმაღლე დამოკიდებულია ფესვთა სისტემის კომპაქტურობაზე. თუ გადარგვისას მცენარე დაკარგავს ფესვების 20-25%-ზე მეტს, მას გადარჩენის შანსი საგრძნობლად უმცირდება. ხოლო თუ წიწვოვან მცენარეს ფესვთა სისტემა გაუშიშვლდა, მისი გახარება შეუძლებელი გახდება. ის ხეები, რომლებმაც გადარგვისას ფესვების ნაწილი დაკარგეს, საკმაოდ დიდხანს ავადმყოფობენ. მათი ნაზარდი პირველ წელს შეიძლება მხოლოდ 5-10 სმ-ის ფარგლებში იყოს, მომდევნო წელს - ცოტა მეტი. ამ დროს მათი მოვლისადმი წაყენებული მოთხოვნები იზრდება: საჭირო ხდება უფრო ხშირი რწყვა და შესხურება, რაც თავის მხრივ ზრდის სოკოვანი დაავადებების წარმოშობის ალბათობას.

სარგავი ორმო მინიმუმ 30-35 სმ-ით უნდა აღემატებოდეს კომს. ეს სივრცე საჭიროა წინასწარ მომზადებული მიწის ნაზავის ჩასაყრელად. ღეროსა და ტოტებზე ჭრილობები მუშავდება ბაღის მალამოთი. ხე რომ ახალ ადგილს უკეთ შეეგუოს, საჭიროა საფუძვლიანი გასხვლა.

დიდი ზომის წიწვოვანი მცენარეების გადარგვისას აუცილებელია ისეთივე სივრცითი ორიენტაციის დაცვა (ჩრდილოეთი-სამხრეთი), როგორიც მას ჰქონდა პირვანდელ ადგილზე,

დიდი ზომის ხეების ამოღება და ჩარგვა ხორციელდება სპეციალური ტექნიკით, ამწის გამოყენებით.

აქტიური ვეგეტაციისა და ყვავილობის დროს არაა სასურველი 3 მ-ზე მაღალი წიწვოვნების და 4 მ-ზე მაღალი ფოთლოვნების გადარგვა.

გადარგვის შემდეგ აუცილებელია მცენარის საგულდაგულო მოვლა: პირველ რიგში უხვი და რეგულარული რწყვა, ფესვთა სისტემის ზრდის სტიმულიატორით დამუშავება და დამატებითი კვება.

ამოღებულ მცენარეებზე მოქმედებს მთელი რიგი ფაქტორები: გამოშრობა, მზის დასხივება, მექანიკური დაზიანება, ფიზიოლოგიურად მნიშვნელოვანი ფესვების ნაწილის დაკარგვა, რის შედეგადაც ირღვევა თანაფარდობა „ფესვთა სისტემა - მიწისზედა ნაწილი“, რაც იწვევს წყლის ბალანსის ცვლილებას და მცენარის ფიზიოლოგიური სტაბილურობის შეცვლას.

სარგავ ორმოებს ამზადებენ 6-10 დღით ადრე. ორმოს კედლები და ფსკერი გულდასმით სწორდება და სუფთავდება. ფსკერი ფხვიერდება 15-20 სმ სიღრმეზე, იყრება ნოყიერი ნაზავი 10-25 სმ სისქეზე. დასარგავი მცენარის ცენტრირებისათვის ორმოს ცენტრი ინიშნება პატარა პალოთი.

ნოყიერი მიწა წინასწარ უნდა იქნას შემოტანილი. მისი რაოდენობა დამოკიდებულია არსებული გრუნტის შემადგენლობაზე. უნაყოფო გრუნტი 100%-თ უნდა განახლდეს. მისი მოცულობა უდრის სარგავი ორმოს მოცულობას მინუს კომის მოცულობა.

კეთდება ხრეშის დრენაჟის ფენა 20-25 სმ-ზე. სარგავი ორმოს მომზადების შემდეგ იზომება ორმოს პარამეტრები და ფესვის ყელის სიმაღლე, ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მიწის დაჯდომის ფაქტორიც.

ხის ორმოში მოთავსების შემდეგ ორმო თანდათანობით ივსება გრუნტით: მიწა ჯერ კომის ქვეშ იტკეპნება, შემდეგ კი თანდათანობით ზემოთ იმგვარად, რომ ცარიელი ადგილები არ დარჩეს. ხის გამაგრებისას უნდა მოხდეს სპეციალური ვერტიკალური სადრენაჟე არხების ფორმირება, რომლებიც მომავალში ხის ფესვებს ჰაერითა და ტენით უზრუნველყოფენ.

ამის შემდეგ ხე მაგრდება სპეციალური დამჭიმებით. მათი მოხსნა შესაძლებელი იქნება 2-3 წლის შემდეგ, როცა მიწა მთლიანად დაჯდება და ფესვები მთლიანად შეეზრდება გარემო ნიადაგს. დროდადრო შეიძლება საჭირო გახდეს დამჭიმებისთვის ადგილის მონაცვლება,

ღეროს გარშემო ყრიან მულჩს. რწყვა უნდა ჩატარდეს 4-5 დღეში ერთხელ. ამისთვის საუკეთესო დროა დილა - 11 საათამდე და საღამო -6 საათის შემდეგ, ხოლო წყლის ტემპერატურა 15-20^0.

ახალ ადგილთან შესაგუებლად აუცილებელია ზრდის ბიოსტიმულატორების (ჰეტეროაუქსინი, კორნევინი, ჰერბამინი, ბიოპლექსი) გამოყენება - ეს ხელს უწყობს მცენარის სწრაფ აკლიმატიზაციას და ფესვების ახალი მასის წარმოქმნას.

ჯამების გაფხვიერება და მულჩირება გამოიყენება ნიადაგის აერაციის გასაუმჯობესებლად. ამ დროს ჭანგბადი უკეთ აღწევს ფესვთა სისტემამდე.

ფოთლოვანი ხეების გადარგვის პირველ წელს აუცილებელია სანიტარული სხვლა, რომელიც სეზონის განმავლობაში შეიძლება რამდენჯერმე განმეორდეს, რადგან ცალკეული ტოტების ხმობა აღინიშნება მთელი წლის განმავლობაში.

შემსრულებელი,

ექსპერტი მანანა ელბაქიძე

პ/ნ 01019021760. მისამართი: თბილისი, მუხიანი, I-V-V-93; mob.: 599 739 834; e-mail: manana.elbakidze@gmail.com

არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

№1 ვაზი - Vitis vinifera



№2 ვაზი - Vitis vinifera



№3 ვაზი - Vitis vinifera



№4 თუთა - Morus alba



№5 სურო - Hedera helix



№6 თუთა - Morus alba



№7 თუთა - Morus alba



№8 თუთა - Morus alba



№9 თუთა - Morus alba



საქართველო

ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №10

ს/კ 01.11.05.030.002

მესაკუთრე: შპს "მარიამულა" (400016610)

6149 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

გეგმა



01.11.05.013.226

01.11.05.013.145

01.11.05.029.400

01.11.05.030.001

01.11.05.030.004

4627750

483850

საკორექტო არეალს გარეთ არსებული ხე ნარგავები

საკორექტო არეალში არსებული ხე ნარგავები

პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემისUTMპროექცია

ბს	საცხ. შენობა		ხის ღობე
ას	არასაცხ. შენობა		სქელის ღობე
	ფარდული		ქვის კედელი
	მშენარადანერგ. შენობა		ფლატე
	აუზი		რკინიგზა
	ხეები		ბუჩქი
			საზეთგადენილი ჭუჭი
			ონკანი
			ანძა, ანტენა
			ბოძები
			რეზერვუარი
			თხრილი
			ელ. ქვესადგური
			ქვის ღობე
			ლითონის ღობე
			მთავარი იზოჰიფსი
			იზოჰიფსი სიმაღლეთა ზონებში საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით
			მიწის ნაკვეთის საზღვარი
			მეზობლის მიწის ნაკვეთის საზღვარი

შპს "გეოდეზისტი 2009"

მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №14, ტელ: 591688011

E-mail: mgegelia@mail.ru

დირექტორი:		მ. გეგელია
ახომა:		მ. გეგელია
დახაზა:		მ. გეგელია
დამკვეთი:		

შენიშვნა:

მასშტაბი: 1:500

31.07.2023წ.

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

995 967 200
beqa_berdzenisvhili@yahoo.com

თარიღი	***13.06.2023***
დამკვეთი	შპს მარიმულა 400016610
მისამართი	ქალაქი თბილისი გმირი კურსანტების ქუჩა N10
მეთოდოლოგია	ტაქსაცია
ს/კ	01.11.05.030.002 მიმდებარედ

ობიექტის და მეთოდოლოგიის შესახებ

მცენარეები შეფასდა ტაქსაციური მეთოდით და ვიზუალურად. მწვანე ნარგავების სახეობის იდენტიფიცირება მოხდა მსოფლიო და ადგილობრივი ფლორების მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით.

#	სახეობა	ს/ფ	დიამეტრი (1,3 მ-ზე)	დიამეტრი (0,1 მ-ზე)	ასაკი *	მცენარის მდგომარეობა	შენიშვნა
1	Juglans regia კაკალი	ხე		2.2		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
2	Morus alba	ხე		3.9		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
3	Rosa canina ასკილი	ბუჩქი		3		ჯანსაღი	ხილკენკროვანი რაყა
4	Rosa canina ასკილი	ბუჩქი		3		ჯანსაღი	ხილკენკროვანი რაყა
5	Rosa canina ასკილი	ბუჩქი		3		ჯანსაღი	ხილკენკროვანი რაყა
6	Rosa canina ასკილი	ბუჩქი		3		ჯანსაღი	ხილკენკროვანი რაყა

შემსრულებელი: ბექა ბერძენიშვილი
T: 995 967 200
beqa_berdzenisvhili@yahoo.com

საერთო დასკვნა

დამკვეთის მიერ მითითებულ საკადასტრო კოდის მიმდებარე ტერიტორიაზე , წინასწარ მომზადებულ ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი მწვანე ნარგავების სიმბოლოების მიხედვით, შეფასდა 6 ძირი მწვანე ნარგავი, დადგინდა მათი სახეობა, შეფასდა მათი მდგომარეობა.

ხილკენკროვანი კატეგორიის მწვანე ნარგავების რაოდენობა: 4

25 სმ მდე ღეროს დიამეტრის მქონე მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია

გადარგვა, შესაძლებელია ჩატარდეს მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში (მარტის მეორე ნახევარი - აპრილი) შემოდგომით (ოქტომბერი - ნოემბრის პირველი ნახევარი), ალტერნატიულ ადგილზე აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით (გადასარგავი მცენარის დიამეტიდან გამომდინარე შესაბამისი სიღრმის ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება ბელტის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ მომზადებულ ორმოში, საჭიროების შემთხვევაში მცენარის გასხვლა - ფორმირება, სარწყავი ჯამის გაკეთება, დარგვის შემდეგ მცენარის ინტენსიური მორწყვა).

25 სმ ზე მეტი ღეროს დიამეტრი მქონე მერქნიანი მცენარის გადარგვისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით უფლება მისილი პირის მიერ შედგენილი რეგლამენტის საფუძველზე გადაირგოს მწვანე ნარგავი:

დამოუკიდებელი ექსპერტი: ბექა ბერძენიშვილი


1
2023/6/12 17:25


1
2023/6/12 17:27


2
2023/6/12 17:25


2
2023/6/12 17:27


3
4
2023/6/12 17:27


5
2023/6/12 17:27


6
2023/6/12 17:27